პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმა

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმა“.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე გაუქმებული იქნეს საქართველოს მთავრობის საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერი დადგენილება №419 „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ - მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმის შემუშვების წესი

მუხლი 1. მიზანი და ზოგადი დებულებები

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმის შემუშავების წესი (შემდგომში – წესი) მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, სურსათის/ცხოველის საკვებით გამოწვეული ინციდენტების მინიმუმამდე შემცირებას, რომელიც მიიღწევა გაძლიერებული მზადყოფნითა და ინციდენტების ეფექტური მართვით.

2. კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ორ მდგომარეობას:

ა) მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს გაძლიერებულ კოორდინაციას;

ბ)მდგომარეობა, რომლის დროსაც საჭირო ხდება კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნა.

3. წესი ადგენს პრაქტიკულ პროცედურებს, რომლებიც აუცილებელია გაძლიერებული მზადყოფნისა და ინციდენტების მართვისათვის, ასევე გამჭვირვალეობის პრინციპების შესაბამისად, კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელებისათვის.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

წესი განსაზღვრავს ქმედებებს, რომელთა გატარება აუცილებელია სურსათის/ცხოველის საკვებით გამოწვეული, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, პირდაპირი და არაპირდაპირი რისკების წარმოქმნისას. განსაკუთრებით, სურსათის/ცხოველის საკვებთან დაკავშირებული ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ საფრთხეებთან დაკავშირებული ისეთი რისკების წარმოქმნისას, რომელთა პრევენცია, მისაღებ დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა ვერ ხდება მოქმედი კანონმდებლობით ან, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული საგანგებო ზომების მიღება, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს რისკების პრევენციას, მისაღებ დონემდე შემცირებას ან აღმოფხვრას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინციდენტი - სურსათში/ცხოველის საკვებში ან ადამიანებში ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეების გამოვლენა, რომლებმაც

შესაძლოა ერთზე მეტ ადამიანში გამოიწვიოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკი ან მიანიშნოს ერთი და იგივე საფრთხისგან გამოწვეულ შესაძლო რისკზე, ან მდგომარეობაზე, რომელშიც ადამიანთა დაავადებების სიხშირე ან საფრთხის გამოვლენა აღემატება მოსალოდნელ რაოდენობას, ხოლო შემთხვევები დაკავშირებულია ან შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ერთი და იმავე სურსათთან ან ცხოველის საკვების წყაროსთან.

ბ) სურსათისმიერი დაავადების აფეთქება/ეპიდემიის გავრცელება - არსებულ გარემოებებში, ადამიანთა პოპულაციაში დაავადების ან/და ინფექციის ორი ან მეტი ინციდენტის დადასტურება, ან მდგომარეობა, როდესაც შემთხვევების რაოდენობა აღემატება მოსალოდნელ რაოდენობას და ეს შემთხვევები დაკავშირებულია ერთმანეთთან, ან შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სურსათის ერთი და იმავე წყაროსთან.

გ) კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორი - პირი ან მისი მოადგილე(შემცვლელი), რომელიც მოქმედებს როგორც საკონტაქტო პირი და უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტურ გაცვლას ყველა იმ პირს შორის, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმის კოორდინაციასა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე უზრუნველყოფს მისი უწყების კომპეტენციის ქმედებების სრულყოფასა და განხორციელებას.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება საქართველოს კანონის - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორი

1. კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორი და მის შემცვლელი, ამ წესის დანართი N1-ით „კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორის ამოცანები“-თ განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის, დასახელებული უნდა იქნეს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.

2. კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორი, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ატარებს კრიზისის მართვის ჯგუფის წევრთა მონაწილეობით შეხვედრებს. ამ შეხვედრებზე განხილული უნდა იქნეს საგანგებო მდგომარეობის დროს ეროვნული გეგმები და ასევე შეფასებული უნდა იქნეს ბოლოდროინდელი კრიზისული მდგომარეობის მართვისა და კონტროლის ღონისძიებები ამ წესის 22-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 5. განგაშის/გაფრთხილების და საინფორმაციო სისტემები

სააგენტომ უნდა ითანამშრომლოს სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემის საკონტაქტო პირებთან და, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, შესაბამის უწყებებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება.

მუხლი 6. ლაბორატორიები

უზრუნველველყოფილი უნდა იქნეს ეროვნული რეფერენტული ლაბორატორიებისა და საერთაშორისო რეფერენტული ლაბორატორიების კავშირები, რათა სწრაფად და მაღალი ხარისხით განხორციელდეს სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხეების ლაბორატორიული გამოკვლევების მხარდაჭერა.

მუხლი 7. ტრენინგი, სავარჯიშოები და უახლესი ინსტრუმენტები

1. სააგენტოს მიერ, „ერთიანი ჯანმრთელობის“ კონცეპციის საფუძველზე, მიზანშეწონილია, სურსათისმიერი კრიზისებისადმი მზადყოფნა, სურსათისმიერი დაავადების აფეთქება/ეპიდემიის გავრცელების და სხვა ინციდენტების მართვასთან დაკავშირებული მოწინავე სასწავლო მოდულების შეთავაზება და BTSF -ის (Better Training for Safer Food) მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობის მიღება.

2. სააგენტომ პერიოდულად უნდა განახორციელოს სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებული ინციდენტების იმიტაციური სავარჯიშო სწავლების ორგანიზება, კომუნიკაციის ასპექტების ჩათვლით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ინციდენტების მართვისათვის მზადებაზე. სავარჯიშო სწავლებებში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა უნდა მიიღოს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებმა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სავარჯიშო სწავლების შედეგები განხილული უნდა იქნეს ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კრიზისის მართვის ჯგუფის სამუშაო შეხვედრაზე.

მუხლი 8. ინფორმაციის შეგროვება, მონიტორინგი და ანალიზი

სააგენტომ, პირდაპირ და არაპირდაპირ ტრანსასაზღვრო საფრთხეებთან დაკავშირებით, უნდა შეაგროვოს ინფორმაცია, განახორციელოს ამ ინფორმაციის მონიტორინგი და ანალიზი. ამ ინფორმაციის წყაროებია:

ა) ევროკავშირის სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემა (RASFF - the Rapid Alert System for Food and Feed);

ბ) ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სააგენტო (EFSA- European Food Safety Authority) და მისი სამეცნიერო ქსელი;

გ) ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WOAH - World Organisation for Animal Health);

დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO – the Food and Agriculture Organisation of the United Nations);

ე) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO- World Health Organisation);

ვ) სურსათის უვნებლობის ორგანოების საერთაშორისო ქსელი (INFOSAN - the International Food Safety Authorities Network);

ზ) EFSA/ECDC (European Food Safety Authority/European Centre for Disease Prevention and Control) -ის წლიური შემაჯამებელი ანგარიში ზოონოზების, ზოონოზური აგენტებისა და სურსათისმიერი დაავადების აფეთქება/ეპიდემიის გავრცელების ტენდენციებისა და წყაროების შესახებ;

თ) NCDC (NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH)-

ი) ეროვნული და საერთაშორისო რეფერენს-ლაბორატორიების ქსელი;

კ)სხვა ქვეყნიდან მიღებული შეტყობინება;

ლ) სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები.

მუხლი 9. გაძლიერებული კოორდინაცია

1.სააგენტომ, ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული მდგომარეობის დროს, ინციდენტის მართვისათვის, უნდა გააძლიეროს კოორდინაცია რისკის შეფასების სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2. გაძლიერებული კოორდინაცია უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევებში:

ა) როდესაც გამოვლენილია ერთერთი:

ა.ა) არსებობს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე სურსათით, ცხოვლის საკვებით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი რისკები, რომლებიც გამოვლენილი იქნა ორ ან მეტ ქვეყანაში და არსებობს მათ შორის ეპიდემიოლოგიური კავშირი (მაგ. ერთ ქვეყანაში ადამიანთა გარდაცვალების შემთხვევები და/ან სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანთა გარდაცვალების

შემთხვევები და მათ შორის სარწმუნო ანალიზური და ეპიდემიოლოგირი კავშირის მონაცემები) და/ან მიკვლევადობა (მაგ. დაბინძურებული სურსათის/ცხოველის საკვების დისტრიბუცია სხვადასხვა ქვეყნებში);

ა.ბ) სურსათის, ცხოველის საკვების შიდა ბაზრის ფუნქციონირებაზე გამოვლენილი საფრთხის მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებთან ერთად, როდესაც გამოვლენილია ერთერთი:

ბ.ა) გამოვლენილ საფრთხის მნიშვნელოვანი ზეგავლენა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე;

ბ.ბ) ქმედებებთან დაკავშირებული შეუთანხმებლობა;

ბ.გ) რისკის გამომწვევი წყაროს განსაზღვრის სირთულე.

მუხლი 10. მდგომარეობა, როდესაც საჭიროა კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნა

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კრიზისული მდგომარეობის დროს, როდესაც წარმოიქმნება სურსათის, ცხოველის საკვებით გამოწვეული, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, პირდაპირი და არაპირდაპირი რისკები, რომელთა პრევენცია, მისაღებ დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა ვერ ხდება მოქმედი კანონმდებლობით ან, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული საგანგებო ზომების გატარებით.

2. კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნა საჭიროა, როდესაც:

ა) ორ ან მეტ სახელმწიფოში გამოვლენილია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პირდაპირი ან არაპირდაპირი რისკი, რომელსაც აქვს მაღალი პოლიტიკური მგრძნობელობა;

ბ) როდესაც გამოვლენილია ერთერთი:

ბ.ა)ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული რისკი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს, ან მოსალოდნელია რომ იყოს დიდი რაოდენობის ლეტალური შემთხვევები;

ბ.ბ) ინციდენტების განმეორება, რომელიც იწვევს ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს;

ბ.გ) არსებობს ბიოლოგიური ან ქიმიური ტერორიზმის ან მნიშვნელოვანი რადიოაქტიური დაბინძურებასთან დაკავშირებული ეჭვი ან ჩვენება.

მუხლი 11. კრიზისის მართვის ჯგუფის პასუხისმგებლობა

1.კრიზისის მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია კრიზისული მდგოამრეობის დროს რეაგირების სტრატეგიის სწრაფად შემუშავებაზე, კოორდინაციასა და რეალიზაციაზე, მათ შორის კომინიკაციის ასპექტებზე.

2. დაბინძურების წყაროს გამოვლენისთანავე, კრიზისის მართვის ჯგუფმა, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა ექსპერტების ჩართულობით, კოორდინაცია უნდა გაუწიოს მიკვლევადობის განხორციელებას (უკან და წინ), ასევე ზედამხედველობა გაუწიოს პროდუქტების ბაზრიდან ამოღებას და გამოთხოვას.

მუხლი 12. პრაქტიკული პროცედურები კრიზისის მართვის ჯგუფისათვის

1.საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრული ამოცანების, ამ წესის მე-7-9-ე მუხლებით განსაზღვრლი მოთხოვნებისათვის, ამ წესის მე-16-17-ე მუხლებით განსაზღვრული პროცედურები გამოყენებული უნდა იქნეს სათანადოდ.

2. კრიზისის მართვის ჯგუფის წევრები მუდმივად ხელმისაწვდომნი უნდა იქნენ კრიზისების დროს.

მუხლი 13. კრიზისის მართვის ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციონირება

კრიზისული მდგომარეობის დროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კრიზისის მართვის ჯგუფის შემადგენლობა, მათ შორის კომუნიკაციის სპეციალისტები, საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო კონსულტაციებისათვის შეიძლება მოწვეულ იქნეს სამეცნიერო წრის წარმომადგენელი და ასევე ექსპერტები

1. კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორი (და/ან მისი მოადგილე) ხელმძღვანელობს კრიზისის მართვის ჯგუფს და უზრუნველყოფს კრიზისის მართვის ჯგუფის გამართული მუშაობას და ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილებას მათი კომპეტენციის გათვალისწინებით. კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნისთანავე ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა მოიწვიოს კრიზისის მართვის ჯგუფის წევრები პირველ შეხვედრისათვის.
2. ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს კრიზისის მართვის ჯგუფის მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის კოორდინაცია, რომელსაც დახმარებას გაუწევენ შესაბამისი ექსპერტები.
3. კრიზისის მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კონტაქტზე და ინფორმაციის გაცვლაზე.

4. კრიზისის მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია საზოგადოებისათვის კოორდინირებული საკომუნიკაციო სტრატეგიის მომზადებაზე, კერძოდ, რეალურ დროში, ფაქტიურ მონაცემებზე დაფუძნებული ინფორმაციის/გზავნილების მომზადებაზე.

5. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს კრიზისის მართვის ჯგუფის შეხვედრების ორგანიზების მხარდაჭერა (მაგ. ოქმების შედგენა და სხვა ადმინისტრაციული საჭიროებები) და ხელმისაწვდომი გახადოს ადამიანური და მატერიალური რესურსები, რომლებიც აუცილებელია მისი შეუფერხებლად მუშაობისთვის (მაგ. შეხვედრების ოთახები, კომუნიკაციის საშუალებები და ა.შ.). კრიზისის მართვის ჯგუფმა, ინფორმაციის გავრცელებისა და გადაცემისათვის, კერძოდ, ინფორმაციაზე მოთხოვნის გავრცელებასა და ამ ინფორმაციის შესაგროვებლად.

მუხლი 14. გადაწყვეტილება კრიზისული მდგომარეობის შესახებ

1. ამ წესის მე-12-13-ე მუხლებით განსაზღვრული პროცედურები შენარჩუნებული უნდა იქნეს კრიზისული მდგფომარეობის გადაჭრამდე. კრიზისის მართვის ჯგუფთან კონსულტაციებით, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას არის თუ არა კრიზისული მდგომარეობა სრულად გადაჭრილი ან შეიძლება თუ არა შემცირდეს ისეთ ინციდენტამდე, რომელიც საჭიროებს მხოლოდ გაძლიერებულ კოორდინაციას. კრიზისის მართვის ჯგუფის ყველა წევრი ინფორმირებული უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2. RASFF-ის სისტემით მიღებულ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც ეხება სურსათთან დაკავშირებულ რისკებს და გატარებულ ღონისძიებებს, ტენდენციის შეფასებისა და კრიზისული მდგომარეობის გადაჭრისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, სააგენტოს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ადამიანების დაავადების ახალი შემთხვევების შესახებ.

მუხლი 15. პოსტკრიზისული მდგომარეობის შეფასება

1. სააგენტომ უნდა შეადგინოს ანგარიში ყოველი სიტუაციის შემდეგ, რომელიც საჭიროებს კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნას. ანგარიშში მოცემული უნდა იქნეს ინციდენტის შემდგომი მდგომარეობის შეფასება, მათ შორის კონსულტაციები ჩართულ პირებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

2. ინციდენტის შემდგომი მდგომარეობის შეფასების გათვალისწინებით, უნდა ჩატარდეს სამუშაო შეხვედრა, რომელზედაც იდენტიფიცირებული იქნება მიღებული გამოცდილება და აუცილებლობის შემთხვევაში, ის საჭიროებები, რომლებიც აუცილებელია კრიზისული მდგომარეობის მართვის დროს გამოყენებული საოპერაციო პროცედურებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 16. ინციდენტის მართვის ძირითადი პრაქტიკული პროცედურები

სააგენტოს მიერ ინციდენტის მართვის კოორდინაცია, საჭიროებისამებრ უნდა მოიცავდეს:

ა) RASFF -ის ან მე-8 მუხლით განსაზღვრული სხვა ორგანიზაციებიდან მიღებული შეტყობინებების ანალიზს, ამ წესის მე-9 ან მე-10 მუხლებით განსაზღვრული მდგომარეობის აღმოჩენისათვის;

ბ)ამ წესის მე-9 ან მე-10 მუხლებით განსაზღვრულ სიტუაციებში, მონაცემებში ხარვეზების გამოვლენისას, დაინტერესებული მხარეებისათვის დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნას RASFF -ის სისტემის საშუალებით ასევე სურსათის/ცხოველის საკვების მიკვლევადობას;

გ) ვიდეო- და აუდიო კონფერენციის ჩატარებას დაინტერესებული მხარეების, რეფერენს-ლაბორატორიების, ექსპერტების, საჭიროების შემთხვევებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სურსათის უვნებლობის წარმომადგენლების მონაწილეობით;

დ) სხვა სახელმწიფოებთან და შესაბამის სააგენტოებთან საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე გავლენის პირველადი შეფასების კოორდინაციას;

ე)კომუნიკაციისა და ქმედებების კოორდინაციას სააგენტოს, და, სადაც რელევანტურია, სხვა უწყებებს, სავაჭრო პარტნიორებსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის;

ვ) ადგილზე ექსპერტთა გაგზავნა საჭიროების შემთხვევაში მოკვლევის მხარდასაჭერად;

ზ) მდგომარეობის მიხედვით, კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორების ნაწილის ან მთელი ქსელის გამოყენება ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისა და შესაბამისი რელევანტური ქმედებების კოორდინაციის მიზნით.

მუხლი 17. დამატებითი პრაქტიკული პროცედურები

სააგენტომ, საჭიროების შემთხვევაში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან ერთად უნდა შეიმუშაოს დამატებითი პროცედურები და ინსტრუმენტები, რათა ხელი შეუწყოს ინციდენტის რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებას და უზრუნველყოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე მისი გავლენის შეზღუდვა. ეს შესაძლო პროცედურებია:

ა) აფეთქების წყაროების სწრაფი დახასიათება და სწრაფი იდენტიფიკაცია ადამიანებში, ცხოველებში, სურსათსა და ცხოველის საკვებში

აღმოჩენილი პათოგენური აგენტების მოლეკულური ტიპირების შესახებ მონაცემთა ბაზების გამოყენებით;

ბ)ბიოლოგიური რისკის შემთხვევაში, EFSA-სა და ECDC-ის მიერ ერთობლივი სწრაფი ეპიდემიური აფეთქების შეფასებების შეთანხმებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურები;

გ) EFSA-ს მიერ განხორციელებული ქიმიური რისკების სწრაფი შეფასება;

დ) განხორციელებული ქმედებების შედეგების მონიტორინგის პროცედურები.

მუხლი 18. გამჭვირვალობა და კომუნიკაცია

1. RASFF-ის ფარგლებში განხორციელებული ინფორმაციის გაცვლაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2. რისკის აღმოჩენის შემთხვევაში, გამოვლენილ საფრთხესთან, რისკთან და მიღებულ ზომებთან დაკავშირებით, პრესის, საზოგადოების ან სავაჭრო პარტნიორების მიერ წამოჭრილ საკითხებზე კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს, პროაქტიულად და რეაქტიულად.

მუხლი 19. კომუნიკაციის სტრატეგია ყველა ინციდენტის დროს

1. ინციდენტის შემთხვევაში, საზოგადოებისათვის მკაფიო, მიზანმიმართული და ეფექტური ინფორმაცია რისკის შეფასებისა და რისკის მართვის, მათ შორის განუსაზღვრელობების შესახებ, საგენტოს მიერ კოორდინირებული უნდა იქნეს რეაგირების ფარგლებში. საზოგადოებისათვის ინფორმაცია უნდა იყოს დროული, სარწმუნო, ზუსტი და შეთანხმებული დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან. კომუნიკაცია სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს შორის უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასწორი და ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის გავრცელება.

2. როგორც კოორდინაციის ნაწილი, სააგენტომ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრმა წინასწარ უნდა აცნობონ ერთმანეთს ეპიდემიოლოგიურ აფეთქებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი განცხადებების შესახებ (მაგ. აუდიო კონფერენციები). გარდა ამისა, დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია შესაბამის სურსათის ბიზნესოპერატორებს, როდესაც შეგროვდება სარწმუნო მტკიცებულებები სურსათისმიერი დაავადების აფეთქების/ეპიდემიის გავრცელების შესაძლო წყაროს შესახებ.

3. რისკის კომუნიკაციასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თანმიმდევრულობა.

4. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ქსელი (INFOSAN) გამოყენებული უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჭრობა მესამე ქვეყნებიდან ან მესამე ქვეყნებში უკავშირდება აღნიშნულ საფრთხეს, რათა ზიანი არ მიადგეს სავაჭრო პარტნიორებთან და მესამე ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან ინფორმაციის დამატებითი ორმხრივი გაცვლის აუცილებლობას.

5. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, როგორებიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (OIE) და გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).

6. კრიზისის კომუნიკაციის დეტალური ამოცანები კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორთა ქსელის ფარგლებში მოცემულია დანართი N1-ში.

მუხლი 20.კრიზისის მართვის ჯგუფის კომუნიკაციის სპეციფიკური სტრატეგია

1. თუ არსებობს მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნას, საზოგადოებისათვის რისკებისა და გატარებული ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის, მან უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციის კოორდინაცია და კომუნიკაციის სპეციფიკური სტრატეგიის დაუყონებლივ შემუშავება. სააგენტომ უნდა მოამზადოს ასეთი სტრატეგიის სტანდარტული ნიმუში. კომუნიკაციის სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს ძირითადი შეტყობინებები ძირითადი მიზნობრივი აუდიტორიისათვის და ამ ინფორმაციის გავრცელებისათვის კომუნიკაციის ძირითადი საშუალებები.

2. მე-15-16-ე მუხლებით განსაზღვრული პრაქტიკული პროცედურების გამოყენებით, კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანია საზოგადოების და ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ პირების, მათ შორის სავაჭრო პარტნიორების, ინფორმირება სურსათის შესახებ:

ა) თანმიმდევრული და კოორდინირებული შეტყობინებებით;

ბ) რისკების შესახებ ეფექტური კომუნიკაციით;

გ) ხაზგასმით მიმდინარე მოკვლევისა და პრევენციული ზომების შესახებ, როდესაც წყარო არ არის დადგენილი;

დ) სარწმუნო მტკიცებულებების (ანალიზის შედეგები, ეპიდემიოლოგიური მონაცემები და ა.შ.) წარდგენით, რომლებიც ადასტურებს პოზიციას და გატარებულ ზომებს;

ე) იმ სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, რომელსაც არ ეხება კრიზისი, მათ შორის მკაფიო ინფორმაციით იმ პროდუქტების ტიპ(ებ)ის შესახებ, რომელზედაც ვრცელდება კრიზისი და იმ პროდუქტ(ებ)ის შესახებ, რომელზედაც არ ვრცელდება კრიზისი;

ვ) წარმატებული ღონისძიებებისა და სარწმუნო მტკიცებულებების საფუძველზე მიღწეული შედეგების შესახებ შეტყობინებების მიწოდებას: მაგალითად, ეფექტური მოკვლევის შედეგად პარტიების იდენტიფიცირება და ამოღება.

3. ინციდენტში ჩართულმა კრიზისის მართვის ჯგუფის წევრებმა დიდი ძალისხმევით უნდა უზრუნველყონ, რომ მათი საკომუნიკაციო ქმედებები შესაბამისობაში იყოს კრიზისის მართვის ჯგუფის მიერ მიღებულ კომუნიკაციის სტრატეგიასთან.

4. კომუნიკაციის სტრატეგია უნდა მოიცავდეს შესაბამისი კონტაქტების დამყარებას სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან, რათა მათ მიეწოდოთ მკაფიო, ზუსტი და თანმიმდევრული ინფორმაცია შესაბამისი კრიზისული მდგომარეობის მართვის მიმდინარეობის შესახებ.

დანართი N1

კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორთა ამოცანები

I. ზოგადი ამოცანები

კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორმა უნდა იმოქმედოს, როგორც ერთმა საკონტაქტო პირმა, რათა უზრუნველყოს:

ა) სურსათთან ან ცხოველის საკვებთან დაკავშირებული ინციდენტების ან ეროვნულ დონეზე კრიზისების დროს კოორდინაცია;

ბ) შეტყობინებების ქსელების ეფექტური გამოყენება ინციდენტების ან კრიზისული მდგომარეობის დროს;

გ) სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული საგანგებო მდგომარეობის სამოქმედო გეგმის წარდგენა კრიზისული მდგომარეობის კოორიდნატორების შეხვედრებზე;

დ) სააგენტოს მიერ ორგანიზებულ აუდიოკონფერენციებში მონაწილეობა;

ე) შეხვედრებზე უკუკავშირი კრიზისის დაძლევის შემდგომ შესაძლო ხარვეზებთან და გასაუმჯობესებელ სფეროებთან დაკავშირებით;

ვ) კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარება და პარტინიორებს შორის ნდობის ამაღლლება გამოცდილების გაზიარების გზით;

ზ) მონაწილეობა ეროვნულ და სხვა ქვეყნების მიერო ორგანიზებულ სიმულაციურ სწავლებებში, მათ შორის EFSA-სა და სხვა ევროპული ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ სწავლებებში.

II. კრიზისული მდგომარეობის კომუნიკაციის ამოცანები

კრიზისული მდგომარეობის კოორდინატორები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე პასუხისმგებელნი არიან კრიზისული მდგომარეობის კომუნიკაციის კოორდინაციაზე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მაგ. გატარებულ ღონისძიებებზე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე და ა.შ.

კრიზისული მდგომარეობის კომუნიკაციის ამოცანები მოიცავს:

ა) ეროვნულ დონეზე ამ წესის მე-18-20-ე მუხლებით განსაზღვრული გამჭვირვალობისა და კომუნიკაციის სტრატეგიის პრინციპების უზრუნველყოფას;

ბ) დახმარებას კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრაში სურსათით ან ცხოველის საკვებით გამოწვეული ინციდენტების ან კრიზისული მდგომარეობის მართვისთვის;

გ) კრიზისის კომუნიკაციის ექსპერტიზის უზრუნველყოფას და მიმართულების მიცემას გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის, მაგ. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარუდგინოს საზოგადოებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებები;

დ) ინციდენტის ან კრიზისული მდგომარეობის დროს პარტნიორებს შორის ძირითადი შეტყობინებების/ხაზის (LTT) შემუშავებას გამოყოფილი ქსელების ან აუდიო კონფერენციების მეშვეობით;

ე) ძირითადი შეტყობინებების გავრცელებას სოციალური მედიისა და სხვა ინსტრუმენტების (მაგალითად, კონკრეტული ვებგვერდის) მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაციის ექსპერტთა ქსელის ჩათვლით;

ვ) ინციდენტის ან კრიზისული მდგომარეობის დროს მედიის რეაქციაზე და საზოგადოებრივი აზრის ამსახველ წყაროებზე (მაგ. სოციალური მედია) დაკვირვებას და ქსელისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას;

ზ) მოთხოვნაზე ორიენტირებული კომუნიკაციის ინსტრუმენტების კოორდინაციას (მაგ. ხშირად დასმული კითხვები, ცხელი ხაზები და ა.შ.);

თ) შეთანხმების უზრუნველყოფას რისკის შეფასებაში მონაწილე სტრუქტურებს შორის, დაავადების აფეთქების ერთობლივ ექსპრეს-შეფასების ჩათვლით და მასთან დაკავშირებულ საკომუნიკაციო აქტივობებს.